სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის რატი ჩანტლაძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული ოვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	89	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 07.12.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„7 “ დეკემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **რატი ჩანტლაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **რატი ჩანტლაძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **რატი ჩანტლაძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **რატი ჩანტლაძე** გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, კვალიფიციურობით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, სამართლიანობით, კომპეტენტურობით. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში, **რატი ჩანტლაძეს** უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 11 ფაქტი, დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **რატი ჩანტლაძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

რატი ჩანტლაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 84/17.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 10.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„ადმინისტრაციულ სამართალში* რატი ჩანტლაძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში კარგად გამოყენების უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. შეუძლია გასაგებად და მარტივად გადმოსცეს აზრი, ასევე აქვს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები წერილობით ზედმიწევნით და შინაარსობრივად ჩამოყალიბების უნარი. რატი ჩანტლაძე არის ორგანიზებული, გაწონასწორებული, ბეჯითი, კომუნიკაბელური, კოლეგიალური და თავაზიანი ადამიანი. გარემოებებს აფასებს კრიტიკულად და შეუძლია შეცდომების აღიარება. *სამოქალაქო სამართალში* - რატი ჩანტლაძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და

შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომედირებულია მან იმუშაოს დროის მართვის და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. *სისხლის სამართალში* - კანდიდატს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა, შესაბამისად, ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, პიროვნული თვისებები და უნარები სრულ შესაბამისობაშია, სამომავლოდ, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებასთან. კანდიდატს, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია, სისხლის სამართალში აქვს სათანადო თეორიული ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სწორი არგუმენტების მოძიება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. რეკომენდებულია მან იზრუნოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

რატი ჩანტლაძესთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო სამართალის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **რატი ჩანტლაძე** უნდა შეფასდეს 22 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გააჩნია საქმის ღრმად და დეტალურად გაცნობის და სასამართლო გადაწყვეტილებების მაღალი სტანდარტით დასაბუთების უნარი.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამოქალო სამართლის სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა კვალიფიციურად, სწორად და გასაგებად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **რატი ჩანტლაძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

რატი ჩანტლაძეს გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. კანდიდატის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, იგი აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად. ტექსტი არის გამართული და დაინტერესებული პირებისათვის არ არის რთულად აღქმადი. მნიშვნელოვანია, რომ მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - რატი ჩანტლაძის მიერ მომზადებული სასამართლოს განჩინებები/გადაწყვეტილებები ჩამოყალიბებული იყო გამართული ქართულით, როგორც გრამატიკულად, ისე სტილისტურად. სამართლებრივი მსჯელობა იყო ლოგიკური, მის მიერ მოყვანილი დასაბუთება მოიცავდა თეორიული და სამართლებრივი ცოდნის სინთეზს. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი მსჯელობა გადმოსცეს გასაგები ენით. მის ნაშრომში ყოველთვის იგრძნობა წერის მაღალი კულტურა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებს. რატი ჩანტლაძე გამოირჩევა საუკეთესო ვერბალური კომუნიკაციის უნარით, რაც გამოიხატა სტაჟირების პერიოდში სხვადასხვა ადმინისტრაციულ დავებთან მიმართებით ფაქტობრივი გარემოებების გამართულად ჩამოყალიბებასა და საკუთარი აზრის მყარად და არგუმენტირებულად გადმოცემაში. შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად, ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს და შემდეგ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით. რატი ჩანტლაძე მეტწილად ლაკონიურად და გასაგებად გადმოსცემს აზრს. ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან საკითხებზე.

დასკვნა: წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **რატი ჩანტლაძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

2.4. პროფესიული თვისებები

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატს შეუძლია ეფექტიანად დაგეგმოს თავისი სამუშაო განრიგი, მართოს საქმეთა ნაკადი, გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, კეთილსინდისიერებით და შრომისმოყვარეობით.

დასკვნა: პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **რატი ჩანტლაძე** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

რატი ჩანტლაძე არის ღია სიახლეების მიმართ, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. კანდიდატი 2018 წლიდან მოღვაწეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კანდიდატი არის რამდენიმე სამართლებრივი სტატიისა და ნაშრომის ავტორი:

- „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №4(60) თბილისი, 2018;
- „ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი)", Ethical Duties of an Advocate Representing a Client in Mediation (Comparative Legal Analysis of Georgian and American Models), ჟურნალი „წელიწდეული", ქართულ და ინგლისურ ენებზე, თბილისი, 2019;
- „წამქეზებელი" მესამე პირი ნინასახელშეკრულებო ურთიერთობებში - პასუხისმგებლობის საფუძვლები და ფარგლები, ქართულ და ინგლისურ ენებზე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, 2024 წელი.

<u>კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:</u>

- 2018 წლის გაზაფხულის სემესტრიდან - დღემდე, არის მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სასწავლო დისციპლინები: ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელშეკრულებო სამართალი);
- ასევე, იყო მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე (სასწავლო დისციპლინა - ბიზნეს სამართალი), 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში.

რატი ჩანტლაძეს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, ასევე, გავლილი აქვს მედიაციის სასერთიფიკატო ტრენინგ კურსი.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **რატი ჩანტლაძე** უნდა შეფასდეს 9 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **რატი ჩანტლაძის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ ის 2017 წლიდან - დღემდე სწავლობს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე, გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები.

<u>რატი ჩანტლაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>

- 2018 წლის სექტემბერი, ქართული სანივთო სამართალი: გერმანული სამართლებრივი ფიგურები მათი რეცეფციის ჭრილში - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი;
- 2021 წლის ივნისი - საავტორო სამართალი ("CopyrightX") - ჰარვარდის სამართლის სკოლა, ბერკმან კლაინის ცენტრი;
- 2022 წლის სექტემბერი - ვორქშოპი მოსამართლის თანაშემწეთათვის: შემთხვევის გადაწყვეტის მეთოდი - საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა და სხვა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **რატი ჩანტლაძე** უნდა შეფასდეს 3 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **<u>რატი ჩანტლაძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 89 (ოთხმოცდა ცხრა) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი